წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია ორ სართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის (აფთიაქი, ოფისი) რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს შენობის საოფისე სივრცეში არსებული ორი სართულის დამაკავშირებელი ლიფტი, შენობის სახურავზე ლიფტის სამნაქანის და მეორე სართულიდან სახურავზე ასასვლელი გზა-კიბის მოწყობას. რეკონსტრუქციით არ ხდება შენობა ნაგებობაზე მიშენება ანდა დაშენება, შესაბამისად არ ხდება დამატებითი ფართის წარმოქმნა, ასევე არ იცვლება არსებული ფუნქცია, შიდა დაგეგმარება, ამასთან, შენობის ფასადებზე გამოყენებული მასალები რჩება უცვლელი, არ ხდება ფასადებზე არსებული ღიობების რეკონსტრუქცია.
1009.16 ქვეთავის თანახმად ორ სართულიან შენობებში სავალდებულო არ არის გზა-კიბის სახურავის ზედაპირამდე გაგრძელება, თუმცა რეკონსტრუქციით გათვალისწინებული - სახურავზე ასასვლელი გზა-კიბის მოწყობით ხდება სახურავზე მდებარე ლიფტის მოწყობილობების მომსახურებისთვის მიდგომა, რითიც დაკმაყოფილებულია 1009.17 ქვეთავის მოთხოვნა.
გასათვალისწინებელია, რომ სახურავის ზედაპირზე გზა-კიბის გაგრძელებითა და ლიფტის სამანქანო ოთახის მოწყობით არ წარმოიქნება დამატებით მესამე სართული. სახურავზე მოწყობილი ორივე ელემენტის ერთობლიობა შესაბამისობაშია 1509.2 ქვეთავის მოთხოვნებთან და წარმოადგენს სახურავზედა ნაგებობებს. გარდა ამისა, საპროექტო კიბე +3.14 ნიშნულზე შემოიზღუდა და სხვა ფართებისგან გაიმიჯნა 1 საათნიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, აღნიშნულის მეშვეობით 0.00 და +3.14 ნიშნულებზე მდებარე სართულები ერთმანეთისგან გაიმიჯნდა ცეცხლმედეგი ზღუდეებით და გაუქმდა ატრიუმი, რამაც კიდევ ერთხელ შეამცირა შეუსაბამობის ხარისხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოების საფუძველზე ხდება წესების მოთხოვნებთან შენობის შეუსაბამობის ხარისხი შემცირება, რითიც დაკმაყოფილებულია 2104 ქვეთავის მოთხოვნა.

ასევე აღსაღნიშნავია, რეკონსტრუქციით არ ხდება შენობა-ნაგებობაზე მიშენება ანდა დაშენება, შესაბამისად არ ხდება დამატებითი ფართის წარმოქმნა, ასევე არ იცვლება არსებული ფუნქცია, შიდა დაგეგმარება, ამასთან, შენობის ფასადებზე გამოყენებული მასალები რჩება უცვლელი, არ ხდება ფასადებზე არსებული ღიობების რეკონსტრუქცია; აქედან გამომდინარე საექსპერტო შეფასებაში არ ხდება აღნიშნული ელემენტების განხილვა და შეფასება, როგორიცაა მაგალითად: დაკავებულობები და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები; თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საჭირო არ გახდა ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების სისტემებით შენობის აღჭურვა, აღნიშნული წარმოდგენილი პროექტით მოწყობილია.
რაც შეეხება გასასვლელის მეორე გზა-კიბეს: იმ შემთხვევაში თუ მეორე სართულს მივანიჭებთ ფუნქციის შესაბამის საქმიან ჯგუფს, მის დაკავებულობის ფაქტორად კი განვსაზღვრავთ ფუნქციის შესაბამის - 9,3-ს, აღნიშნული სართულის დაკავებულობის დატვირთვა შედგენს - 18-ს, შესაბამისად, თანახმად 1021.2(2) ცხრილისა მეორე სართულზე მეორე გასასვლელი გზა-კიბის მოწყობას არ საჭიროებს.